2013 წლის 21–22 ნოემბერს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა ჩაატარა მასწავლებელთა კონფერენცია თემაზე: **„მასწავლებლის პროფესიული ეთიკა“.**

კონფერენცია ჩატარდა ბაზალეთის კომპლექსში. კონფერენციას ცენტრის პროგრამების ფარგლებში დასაქმებული მასწავლებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ–ებისა და აფხაზეთის სამინისტროს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

მე მიწვეული ვიყავი მონაწილის სტატუსით ბატონ კახა ჟღენტის მიერ.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკა
21-22 ნოემბერი, 2013 ბაზალეთი

	21 ნოემბერი 10:00 გასვლა „მასწავლებლის სახლიდან“		
დრო	11:00 – 12:00 ჩასვლა ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში/ ყავისა და ჩაის შეთავაზება მონაწილეებისათვის		
	თემა		**მომხსენებელი**
12:00 – 12:10	მისალმება, კონფერენციის გახსნა		**გია მამულაშვილი** – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
12:10 – 12:20	დღის წესრიგის გაცნობა, ორგანიზაციული საკითხების შეთანხმება		**ნინო ელბაქიძე,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
12:20 -12:40	მასწავლებლის პროფესიული ეთიკა		**ნანა მერკვილაძე, ლია გიგოლაშვილი, ხათუნა ქუმელაშვილი.** თბილისის 16–ე სკოლა
12:40 – 13:00	სწავლის სირთულეების მქონე ბავშვების განათლების ეთიკური ასპექტები		**ჟანა კვაჭაძე, ანა ლაღიძე** – ინკლუზიური განათლების ექსპერტები
13:00 – 13:20	კითხვა–პასუხი ინკლუზიური განათლებისა და მასწავლებლის ეთიკის საკითხებზე		**ჟანა კვაჭაძე, ანა ლაღიძე** – ინკლუზიური განათლების ექსპერტები
13:20 – 13:40	თაობა “Next”		**ირმა ავალიანი, მარინა ჭელიძე** მენტორი მასწავლებლები

13:40 – 14:00	პედაგოგიური ეთიკის საკითხები მასწავლებელთა მომზადების პროგრამაში		**ნინო ნახუცრიშვილი** – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14:00 – 14:30 შესვენება ყავა და ჩაი			
14:30 – 15:00	მასწავლებლების მომზადების ზოგიერთი ასპექტი		**ირმა ქურდაძე** – სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
15:00 – 15:20	მომავალი მასწავლებლების მომზადების აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები		**ანა დაუთაშვილი** – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი
15:20 – 15:40	ეთიკური დილემები სკოლაში		**სალომე გოჩოლეიშვილი, ლაურა გოტიაშვილი** „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“
15:40 – 16:00	კოლეგიალური კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები		**ინგა ბაგრატიონი** , სახელმწიფო პროგრამის მონაწილე, „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“
16:00 – 17:00 სადილი			
17:00 – 17:20	მასწავლებლის ეთიკა მულტიკულტურულ საზოგადოებაში		**ლელა წიკლაური, ნათია გოგიაშვილი, თეიმურაზ შალამბერიძე, ნონა მიქელაძე ნანა ჩუნთიშვილი** სახელმწიფო პროგრამის მონაწილე „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“
17:20 – 17:40	მასწავლებლის პროფესიული ეთიკა მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში		**ლელა მანგოშვილი** საერო სკოლა ,,ბინულის'' ქართული ენის მასწავლებელი

17:40 – 18:00	ბავშვი და პრობლემა		**ნინო ჯინჭარაძე** 182-ე საჯარო სკოლა, დაწყებითი კლასების პედაგოგი
18:00 – 18: 20	მასწავლებლის პროფესიული ეთიკა კოლეგებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს		**ლია სიმონიშვილი,** სახელმწიფო პროგრამის მონაწილე „ასწავლე საქართველოსთვის“
18:20 -18:40	სკოლა და ოჯახი		**ია კოსტავა** – სახელმწიფო პროგრამის მონაწილე „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“
18:40 -19:00	მასწავლებლის პროფესიული ეთიკა		**ნათია ვარძელაშვილი,** სახელმწიფო პროგრამის მონაწილე „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“
19:00 -20:00 ვახშამი			
22 ნოემბერი			
10:00 -11:00 საუზმე			
11:00 – 11:20	მასწავლებლისა და დირექტორის პროფესიული ეთიკის კოდექსები, მოსწავლის ქცევის კოდექსი		ნინო ელბაქიძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
11:30- 12:30	სამუშაო ჯგუფები: მასწავლებლის ეთიკის კოდექსის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება ცვლილებების შეტანის მიზნით		
12:30 – 13:30	სამუშაო ჯგუფების პრეზენტაციები		
13:30 -14:00			

შესვენება ყავა და ჩაი			
14:00 15:00	სამუშაო ჯგუფები: სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება ცვლილებების შეტანის მიზნით		
15:00 -16:0 0 სადილი			
16:00 -17:0 0	სამუშაო ჯგუფების პრეზენტაციები		
17:00 17:30	სამუშაო ჯგუფები: მოსწავლის ქცევის კოდექსის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება ცვლილებების შეტანის მიზნით		
17:30 -18:0 0	სამუშაო ჯგუფების პრეზენტაციები		
18:00 -19:30 **ფილმის ჩვენება „კლასი“**			
19:30 ვახშამი			
23 ნოემბერი			
9:00- 10:00 **საუზმე**			

10:00 -11:30 **კონფერენციის ორი სამუშაო დღის შეჯამება, მონაწილეების უკუკავშირი**			
12:00 **გამომგზავრება ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსიდან თბილისის მიმართულებით**			

კონფერენციას პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა და განხილული იყო კონკრეტული მაგალითები სასკოლო ცხოვრებიდან, ეთიკური დილემები, რომლებიც მასწავლებლებს ხვდებათ მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, მანდატურებთან ურთიერთობისას. კონფერენციაზე დიდი დრო დაეთმო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებთან მუშაობის ეთიკურ ასპექტებს, მათ პრობლემებს და გადაჭრის გზების ძიებას და რეკომენდაციებს.

საინტერესო იყო უნივერსიტეტების წარმომადგენლების პრეზენტაციები, მათი სასწავლებლების სწავლების დადებითი ასპექტები, მათი კავშირი სკოლასთან და მათი საგანმანათლებლო მიზნები.

ასევე საინტერესო იყო „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, „ასწავლე საქართველოსთვის “და „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ პროგრამის წარმომადგენლების პრეზენტაციები. მომხსენებლებმა წარმოადგინეს მათ სასკოლო ცხოვრებაში არსებული ეთიკური დილემები, კოლეგებთან და ადგილობრივ თემთან წამოჭრილი კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები, მასწავლებლის ეთიკა მულტიკულტურულ საზოგადოებაში, მასწავლებლის პროფესიული ეთიკა კოლეგებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს, სკოლისა და ოჯახის დამოკიდებულება და როლი მოსწავლეების განვითარების საქმეში.

განსაკუთრებით მომეწონა საერო სკოლა „ბინულის“ ქართული ენის მასწავლებლის ლელა მანგოშვილის პრეზენტაცია „მასწავლებლის პროფესიული ეთიკა მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში“. მომხსენებელმა აღნიშნა ,რომ ყოველ ადამიანში არის თანდაყოლილი სწრაფვა თვითაქტუალიზაციისაკენ, გვიჩვენა, როგორ დავეხმაროთ ბავშვებს ისეთი პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კლასთან ერთობის, მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარება, ემპათიის (თანაგანცდის) გრძნობის განვითარება პიროვნული განვითარება, სტრესისა და შფოთვის დაძლევა, პრობლემების ძალადობის გარეშე მოგვარების უნარი (ასერტულობა), პიროვნული თანამშრომლობა და თანამშრომლობითი სწავლება. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა , თუ როგორი უნდა იყოს მასწავლებელი მოსწავლეებისთვის, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა რომ არ დაარღვიოს მოსწავლეთა უფლებები და დაიცვას ეთიკური ნორმები. აქვე აღინიშნა, რომ განვითარებაზე ორიენტირებული მოსწავლისთვის შეცდომა, წარუმატებლობა და სირთულე განვითარების და ზრდის საუკეთესო საშუალებაა. მომხსენებელმა მოიყვანა მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, დაგვანახა ის გზები თუ როგორ გადაჭრა არსებული პრობლემები, რა სახის სამოქმედო გეგმა დასახა და როგორ მოხდა მისი განვითარება ეტაპობრივად, საბოლოოდ, კარგად დაგეგმილი მოგვარების გზები დადებითად განხორციელდა და ხელი შეუწყო არსებული პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ნინო ელბაქიძემ გაგვაცნო მასწავლებლისა და დირექტორის პროფესიული ეთიკის კოდექსი, მოსწავლის ქცევის კოდექსი. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, სადაც მოხდა აღნიშნული ეთიკის კოდექსების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება ცვლილებების შეტანის მიზნით. ჯგუფში მუშაობა საინტერესო იყო, მოხდა ყველა აზრის გაანალიზება და გათვალისწინება, ბოლოს ჩატარდა ჯგუფების პრეზენტაცია. მეორე დღის ბოლოს ვუყურეთ ესტონურ ფილმს „კლასი“. ფილმი გამოხატავდა იმ რთულ, მძიმე რეალურ სიტუაციას, რომელიც არსებობდა ერთ ერთ სკოლაში, სადაც დარღვეული იყო ყველანაირი

ეთიკის და კომუნიკაციის ნორმები, ეს იყო ის ფილმი, რომელიც გვიჩვენებს როგორი არ უნდა იყოს მასწავლებელი და როგორი არ უნდა იყოს ურთიერთობები მოსწავლეებს შორის, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

ამგვარი კონფერენციები ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას მასწავლებელთა შორის და მათ პროფესიულ ზრდას.

ქეთევან კობახიძე

25 ნოემბერი, 2013 წელი